

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტიცებულია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

გემზანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

საზღვაო საქმე

სილაბუსი

კოდი: ნდ №2- P. 0326-03

წარმოდგენილია პროფესიული განათლების
განყოფილების მიერ. სხდომის ოქმი №05, 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



სასწავლო კურსის დასახელება და კოდი	საზღვაო საქმე ნდ №2- P. 0326-03
სწავლების საფეხური	III საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პასუხისმგებელი განყოფილება	პროფესიული განათლების განყოფილება
სასწავლო კურსის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი	ოსმან ხინკილაძე საკონტაქტო ინფორმაცია ტელ: 599 53 40 83 577 22 16 32 ელ-ფოსტა: khinkiladze42@mail.ru
დაშვების წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სასწავლო კურსის სწავლების მიზანი	შეასწავლოს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპები, პროცესები, (გემის მართვის საწყისი ცნებები, სატაკელაჟო მომარაგების საგნები და მასალები, რანჰოლტი და საზღვაო გემის ტაკელაჟი; გემის კორპუსის, სათავსოების მოვლისა და შეკეთების წესები, გემების მოწყობილობების, გემის კავშირის საშუალებების გამოყენების წესები; ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესების ზოგადი ცნებები; დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოების საფუძვლები) და ძირითადი კონცეფციები პროფესიული მოვალეობებისა და საქმიანობისას გართულებული ამოცანების შესასრულებლად.
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება იცის: <ul style="list-style-type: none"> - რანჰოლტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; - გემის მართვის თავისებურებები, გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; - საჭის მართვის ბრძანებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე და მათი დანიშნულება; - გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის, გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები; - გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; - ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; - ვიზუალური საშუალებები (სასიგნალო დროშები, ფიგურები და სხვ. საშუალებები) და დაკვირვების წარმოების წესები; - უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; - ტვირთის მიღების, ჩაბარების განთავსებისა და დამაგრების წესები; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მიდგომები და ინსტრუმენტები:



	<ul style="list-style-type: none"> - გემის სამუშაოების, მათ შორის სადურგლო, სატაკელაჟო, სამღებრო, სამუშაოების შესრულებისას; - კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოების შესრულებისას; - საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციისას; - ჩატვირთვა -გადმოტვირთვის პროცედურების, სათავსოების, სატვირთო ტრიუმებისა და გემზანის ტვირთის განსათავსებელი სამუშაოების შესრულებისას; <p>დასკვნის უნარი შეუძლია პრობლემების შეფასება და ანალიზი და მათ გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა;</p> <p>კომუნიკაციის უნარი აქვს გუნდური მუშობის, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის გამოყენების უნარი;</p> <p>ღირებულებები აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის რისკ-ფაქტორებსა და თავისებურებებს.</p>												
<p>სასწავლო კურსის მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>5 კრედიტი (1 კრედიტი—26 სთ)</p> <p>სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 18 კვირა.</p> <table border="1" data-bbox="453 1093 805 1429"> <tr> <td><i>საათების რაოდენობა</i></td> <td><i>სრული</i></td> <td>130 სთ.</td> </tr> <tr> <td><i>საკონტაქტო რაოდენობა</i></td> <td><i>საათების</i></td> <td>72 სთ. საკონტაქტო - მათ შორის: -26 სთ. ლექცია - 40სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო</td> </tr> <tr> <td><i>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</i></td> <td></td> <td>58 სთ.</td> </tr> <tr> <td><i>სწავლების მეთოდები</i></td> <td></td> <td>ლექცია, პრაქტიკული/მუშაობა სამუშაო ჯგუფში</td> </tr> </table>	<i>საათების რაოდენობა</i>	<i>სრული</i>	130 სთ.	<i>საკონტაქტო რაოდენობა</i>	<i>საათების</i>	72 სთ. საკონტაქტო - მათ შორის: -26 სთ. ლექცია - 40სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო	<i>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</i>		58 სთ.	<i>სწავლების მეთოდები</i>		ლექცია, პრაქტიკული/მუშაობა სამუშაო ჯგუფში
<i>საათების რაოდენობა</i>	<i>სრული</i>	130 სთ.											
<i>საკონტაქტო რაოდენობა</i>	<i>საათების</i>	72 სთ. საკონტაქტო - მათ შორის: -26 სთ. ლექცია - 40სთ. პრაქტიკული -6 სთ. შეფასების დრო											
<i>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</i>		58 სთ.											
<i>სწავლების მეთოდები</i>		ლექცია, პრაქტიკული/მუშაობა სამუშაო ჯგუფში											
<p>შეფასების წესი</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორ უარყოფით შეფასებას, ხოლო მაჩვენებლები ასეთია:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%; <p>უარყოფითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p>												



	<p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>
<p>შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოიცავს შემდეგი სახის შეფასებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება <ul style="list-style-type: none"> - აქტიურობა და ყოველდღიური გამოკითხვა - 10 ქულა - შემთხვევის ანალიზი - 3X 5ქ. =15 ქულა - ჯგუფში მუშაობა (პროფესიული სტუდენტები წყვილში ან ჯგუფურად ასრულებენ და განიხილავენ დავალებას/საკითხს) - 5 ქულა - შუალედური გამოცდა/ტესტირება (ტესტი შედგება 8 დახურული კითხვისაგან, 4 სავარაუდო პასუხით - ფასდება 1 ქულით, 8 ღია კითხვისაგან - ფასდება 1,5 ქულით და 2 სიტუაციური ამოცანისაგან - ფასდება 5 ქულით (8X1ქ. +8X1,5ქ. +2X5ქ = 8+12+10=30 ქ.) - 30 ქულა; • დასკვნითი გამოცდა/ზეპირი გამოცდა - 40 ქულა <p>აქტიურობა და ყოველდღიური გამოკითხვა 9-10 ქულა - აქტიურად არის ჩართული მეცადინეობის მსვლელობაში, სისტემატურად პასუხობს კითხვებს, პასუხები ზუსტი და ამომწურავია. ზედმიწევნით ამუშავებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალას და გადმოსცემს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით. აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. 4-8 ქულა - აქტიურია, კითხვებზე პასუხობს უშეცდომოდ. სისტემატურად ამუშავებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალას; მასალას გადმოსცემს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით. 5-6 ქულა - აქტიურია, თითქმის ყველა კითხვაზე პასუხობს უშეცდომოდ. 1-4 ქულა - ნაკლებად აქტიურია, კითხვებზე პასუხი ხშირად არაზუსტია. 0 ქულა - არ აქტიურობს.</p> <p>ჯგუფში მუშაობა 5 ქულა - კარგად აქვს გაცნობიერებული გუნდური მუშაობის პრინციპები. შეუძლია საკუთარი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრის მოსმენა, შეფასება და გათვალისწინება. 3-4 ქულა - ჩამოყალიბებული აქვს გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ასევე სხვისი აზრის მოსმენა. 1-2 ქულა - უჭირს ჯგუფში მუშაობა, სხვისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება. 0 ქულა - ვერ აცნობიერებს გუნდური მუშაობის პრინციპებს.</p> <p>შემთხვევის ანალიზი 5 ქულა - შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, საკითხის ირგვლივ ზედმიწევნით ამომწურავი მსჯელობა და დამაჯერებელი არგუმენტირება. 3-4 ქულა - შეუძლია საკითხის ირგვლივ მსჯელობა, დამატებითი არგუმენტების მოშველიება 1-2 ქულა - საკითხს ვერ განიხილავს, მსჯელობა არადამაკმაყოფილებელია. 0 ქულა - საკითხს ვერ განიხილავს, მსჯელობა არადამაკმაყოფილებელია.</p> <p>დასკვნითი გამოცდა/ზეპირი გამოცდა - ბილეთი შედგება 4 საკითხისაგან, თითოეული ფასდება 10 ქულით, 4X10=40 ქულა. შეფასების კრიტერიუმი ასეთია: 9-10 ქულა - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის</p>



	<p>გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. ზედმიწევნით კარგად ფლობს სასწავლო კურსით გავლილ მასალას.</p> <p>7-8 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ შეკვეცილი, არსებითი შეცდომები არ არის დაშვებული, ტერმინოლოგიურად გამართულია, კარგად ფლობს სასწავლო კურსით გავლილ მასალას.</p> <p>5-6 ქულა - პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია მწირი, ფლობს სასწავლო კურსით გავლილ მასალას, თუმცა აღინიშნება მცირედი შეცდომები.</p> <p>3-4 ქულა - პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარი, საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სასწავლო კურსით გავლილ მასალას არასაკმარისად ფლობს. პასუხში აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა;</p> <p>1-2 ქულა - პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები;</p> <p>0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არ არის მოცემული.</p> <p>შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ტესტები მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებსა და სიტუაციური ამოცანის ანალიზს.</p> <p>შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს.</p>			
<p>კვირა</p>	<p>სასწავლო კურსის შინაარსი</p>	<p>საათი</p>		
<p>I</p>	<p>შესავალი. სილაბუსის შინაარსისა და შეფასების წესის გაცნობა, სასწავლო კურსის დანიშნულება.</p> <p>გემის მართვის საწყისი ცნებები გემის მართვა მექანიკური ძრავებით. ქარის. დელვის და დინების ზეგავლენა, საჭის მართვა-შტორმულ პირობებში, დინების დროს, ვიწრობებში, არხებში, ყინულში. გემის მართვის თავისებურებები კიჩოს ერთი ზედნაშენით. გემის მართვა - საჭის, ხრახნის, გემის მთავარი ძრავის დაზიანებისას. საჭის მართვა ლოცმანით ცურვის დროს. მიყენების მოწყობილობების ზეგავლენა მართვადობაზე. საბუქსირე გემის საჭის მართვა. საჭის მოწყობილობის დამახასიათებელი დაზიანებები და მათი თავიდან აცილების ხერხები. საჭით მართვის თავისებურებები ორხრახნიან გემებზე. საჭის მართვის დროს გამოსაყენებელი ბრძანებები - ბრძანებები ინგლისურ ენაზე.</p>	<p>2</p>	<p>2</p>	<p>2</p>
<p>II - III - IV</p>	<p>სატაკელაჟო მომარაგების საგნები და მასალები მცენარეული ბაგირები: ქოქოსის, ბამბის, ცელულოზის, მათი მახასიათებლები. მცენარეული ბაგირების სისქის ცვლილება, ხაზები და მათი გამოყენება. საწყობიდან მიღების წესი, გრაგნილის გახსნა, გემზე შენახვა და მოვლა. სინთეტიკური ბაგირები. დასამზადებელი მასალა, ბაგირების ხარისხი, გამოყენების წესი და მოვლა. ფოლადის ბაგირები. დასამზადებელი მასალა. გრაგნილის გახსნა.</p>	<p>4</p>	<p>6</p>	<p>11</p>



	<p>ფოლადის ბაგირის სათანადო ზომებად დაჩეხვა. მათი მოვლა. მცენარეული, სინთეტიკური და ფოლადის ბაგირების გაგლეჯის და მუშაობის სიმტკიცე.</p> <hr/> <p>სატაკელაჟო ჯაჭვები. დანიშნულება და მოწყობილობა. მოვლა და შენახვა, დასაშვები ცვეთა. კაკვები. დანიშნულება, მოწყობილობა და ტიპები. მუშა დატვირთვა, დასაშვები ცვეთა. კაკვებზე დამღების დადება, ჩაწყობის წესები. სატაკელაჟო კაკვები. დანიშნულება, მოწყობილობა, სახეები და კავდამჭერი. მუშა დატვირთვა, დასაშვები ცვეთა, გემზე შენახვა და მოვლა.</p> <hr/> <p>ტარლეპი - ბაგირული და ხრახნული დანიშნულება და მოწყობილობა. ტარლეპების მოვლა გემზე. კოუმები, ბოგელები, წყვილაკები, იუფერსები - დანიშნულება და გემზე მოვლა. ბლოკები (ჭოჭონაქი), მათი დანიშნულება. ხის, პლასტმასის და ლითონის, კანიფას-ბლოკი, ბლოკების განზომილებები და მათი შერჩევა ბაგირებთან. დასაშვები ცვეთა, მოვლა და შენახვა. ჯაჭვების, კაკვების, კავების, ტარლეპების, ყუების, ბლოკების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. გორდენები და ტალები. გორდენი და მისი დანიშნულება. მარტივი ტალების სახეები და მათი დანიშნულება. უსაფრთხოების ტექნიკა ტალებთან მუშაობისას. გემზე ტალების მოვლა.</p> <p>შემთხვევის ანალიზი</p>			
<p>V</p>	<p>რანჰოუტი და საზღვაო გემის ტაკელაჟი რანჰოუტი - რანჰოუტის დანიშნულება, მექანიკურ ძრავებიან გემებზე. სატვირთო ანძების ტიპები, მათი განლაგება და დამაგრება. კოლონები, ნახევარანძები, ისრები - ამწეები, შლუპკოჭები, ტრაპ-კოჭები, ჭოკები და სხვ. მათი დანიშნულება და გემზე განლაგება. ტაკელაჟი - ვინტები, შტაგები. კონტრშტაგები, შტაგკორნაკი და ა.შ. მათი განლაგება და დანიშნულება. მორბენალი ტაკელაჟი, ძირითადი ხელსაწყოები: ტოპენანტები, საჭიბარები, სატვირთო შკენტელი. მათი დანიშნულება. რანჰოუტის და ტაკელაჟის მოვლა. ექსპლუატაციის წესები და უსაფრთხოების ტექნიკა რანჰოუტთან და ტაკელაჟთან მუშაობისას.</p>	<p>2</p>	<p>4</p>	<p>1</p>
<p>VI – VII- VIII</p>	<p>გემის კორპუსის, სათავსოების მოვლა და შეკეთება გემის ტექნიკურად გამართულ და სუფთა მდგომარეობაში შენახვისათვის გამოყენებული ძირითადი მასალები: ასბესტი, გრაფიტის ფხვნილი, ქლორიანი კირი, წებო, ცარცი, საპონი, კაუსტიკური სოდა, თხევადი მინა, ცემენტი. სააფრო სამუშაოები. აფრის დანიშნულება, არტიკული, აფრის ხარისხი. აფრის ძაფები, აფრის ინსტრუმენტი, ნაკერების სახეები. მიღების, შეკეთების, შეღებვის წესები და მისი ნაკეთობების შენახვა. სამღებრო სამუშაოები. სამღებრო სამუშაოების დანიშნულება. საღებავები: ზეთიანი, სინთეტიკური, ემულსიური, მათი დასახელება ფერების მიხედვით. ლაქები, ემალები, საგოზავები მათი გამოყენება და დამზადება; გემზანის მასტიკები (საგოზავი)</p>	<p>4</p>	<p>6</p>	<p>13</p>



	<p>ანტიკოროზიული გრუნტები. საღებავების მომზადება, გემზე საღებავების შენახვა. ინსტრუმენტები სამღებრო სამუშაოებისთვის: ფუნჯები და ფრქვევანები. მათი სახეები, მომზადება სამუშაოებისათვის და მათი მოვლა. ხის, ფოლადის და ალუმინის ზედაპირის მომზადება შეღებვისათვის. ზედაპირის ხელით და მექანიზირებული წესით მომზადება შეღებვისათვის და გამოყენებული ინსტრუმენტები. მექანიზირებული და ხელით შეღებვა. ლითონის გემბანის დაფარვა მასტიკებით. სატვირთო ტრიუმების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. სატვირთო ტრიუმების მოვლა. ცივი და ცხელი წყლით, საპნიანი ხსნარით, ქიმიური გამხსნელებით ტრიუმების გაწმენდა და გარეცხვა. პაიოლის დაჩქარებული გამოშრობა. ვენტილაცია და სუნის მოშორება. გემის ცისტერნების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. სასმელი და საბალასტო წყლის ცისტერნების მოვლა, გაწმენდა და ცემენტირება. ქიმიური საფარებით ცისტერნების (ავზების) შეღებვა. ცისტერნების ქიმიური წმენდის მეთოდები და მათი დაცვა კოროზიისაგან. გემის დალაგება. დილის ყოველდღიური დალაგების ორგანიზაცია. დალაგებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი და მასალები. სამსახურებრივი სათავსოების და საერთო მოხმარების ადგილების დალაგება. გემბანის და ზედნაშენის გარეცხვა</p>			
<p>IX</p>	<p>შუალედური შეფასება 2 სთ.</p>			<p>4</p>
<p>X-XI-XII</p>	<p>გემების მოწყობილობების გამოყენება ღუზის მოწყობილობის მომზადება ჩაშვებისათვის. ჩაშვება მცირე, საშუალო და დიდ სიღრმეებზე. ღუზიდან მოხსნა. ზარის სიგნალი წინა ერდოდან ღუზის ჩაშვებისას და ამოღებისას. ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ღუზის მოწყობილობის მოვლა. უსაფრთხოების ტექნიკა ღუზის მოწყობილობაზე მუშაობისას. გემსაბმელი ოპერაციები. ეკიპაჟის განაწილება გემის მიზმის ოპერაციებისას. გემის მიზმა ნავმისადგომზე, გემის მიზმის ოპერაციების ბრძანებები კაპიტნის ხიდურიდან წინა ერდოზე და კიჩოზე. ბაგირებზე და ბორტგარეთა ხვრელებზე თავგსაწინააღმდეგო ფარების დაკიდვა. გემისაბმელი ბაგირების დამაგრება კასრებზე და ხმელეთზე. გემისაბმელი მოწყობილობის ტექნიკური ექსპლუატაციისა და მოვლის წესები. გემის ტრაპები. შიგა და ბორტის გარე ტრაპების დანიშნულება და მოწყობილობა. საბიჯელა და საშტორმე ტრაპი (შტორმტრაპი), მათი მოწყობილობა, დანიშნულება და დამაგრება. გემის ტრაპების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. ისრების მომზადება, მათი აწევა და დაყენება მუშა მდგომარეობაში. სატვირთო ისრებით მუშაობა: ერთით ან ორით („ტელეფონის“ ხერხით). დიდწონიანი ისრის ტაკელაჟი და დამაგრება. „შტულკენ“ სისტემის დიდწონიანი ისარი. ანძების და ჯალამბრების მომზადება დიდწონიანი ტვირთებზე მუშაობისას. მუშაობა დიდწონიანი ისრით. ისრების დალაგება რეისისათვის. ტექნიკური</p>	<p>4</p>	<p>6</p>	<p>11</p>



	<p>ექსპლუატაციის წესები და სატვირთო მოწყობილობების მოვლა. საბუქსირე მოწყობილობის მომზადება. საჭის მოწყობილობის მომზადება მუშაობისათვის. საჭის მართვის გადაყვანა ავარიულ სათადარიგო ამძრავზე. ტექნიკური ექსპლუატაციისა და მოვლის წესები. გემის სამაშველო საშუალებები. ტექნიკური ექსპლუატაციის და სამაშველო საშუალებების მოვლის წესები.</p>			
<p>XIII</p>	<p>გემის კავშირის საშუალებები ვიზუალური საშუალებები: შუქსიგნალები, სასიგნალო დროშები (MCC), სასიგნალო ფიგურები, პიროტექნიკური საშუალებები მათი გამოყენების და შენახვის წესები, ბგერითი კავშირის საშუალებები. სიგნალიზაცია პორტებში. ვიზუალური დაკვირვების წესები ვახტაზე დგომის დროს, მოხსენებების ფორმები დაკვირვებების დროს.</p>	<p>2</p>	<p>4</p>	<p>1</p>
<p>XIV-XV</p>	<p>ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები. ზოგადი ცნებები წესებში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობები, გემების ნაოსნობა მხედველობის ნებისმიერ პირობებში. გემების შუქები და ნიშნები. შუქები მექანიკური ძრავებით სვლაზე. შუქები და ნიშნები ბუქსირშიდით და ბიძგებით დაკავშირებულ გემებზე. აფრიანი გემების შუქები და ნიშნები. თევზსაჭერი, მართვადობის შესაძლებლობების არმქონე, ნაღმების ტრალვით დაკავებული, სალოცმანო, შეზღუდული თავისი წყალშიგით, მეჩქრზე მჯდომი და ღუზაზე მდგომი გემების შუქები და ნიშნები. შეზღუდული მხედველობის დროს და ურთიერთ მხედველობაში მყოფი გემების ბგერითი და სინათლის სიგნალები. უბედურების სიგნალები.</p> <p>შემთხვევის ანალიზი</p>	<p>4</p>	<p>6</p>	<p>4</p>
<p>XVI- XVII</p>	<p>დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოების საფუძვლები მასიური და გენერალური ტვირთების მახასიათებლები. ნაყარი ტვირთის გადაზიდვის თავისებურებანი. სწრაფფუჭებადი, მძიმე წონისა და დიდგაბარტიანი ტვირთების გადაზიდვის თავისებურებანი. კონტეინერების და ხე-ტყის ტვირთების ტარა. სასეპარაციო მასალები, მათი დანიშნულება და გემზე შენახვა. გემის სატვირთო ინვენტარი. სამუშაოების შესრულების მიმდევრობა სატვირთო ლუქების გაღებით და დახურვით, მოსახნელი, გადასაგორებელი და ასაყირავებელი ლუქის დამკეტებით. ტრიუმების მომზადება სხვადასხვა ტვირთების დატვირთვისას. ჩატვირთვა ტრიუმებში და ტვირთების განთავსება. რეისის დროს სხვადასხვა ტვირთების მდგომარეობის კონტროლი. ტრიუმში ტემპერატურის შენარჩუნება. ტრიუმებში ტემპერატურის გაზომვა. ტრიუმების ვენტილაცია; გადმოტვირთვის შემდეგ ტრიუმის დალაგება. გემის გემბანზე ტვირთების გადაზიდვა. გემბანის ტვირთების სახეები. გემბანის მომზადება ტვირთის გასაცემად, მასიური და გემბანის ტექნიკური ტვირთების დამაგრების პრინციპი. ცნება</p>	<p>4</p>	<p>6</p>	<p>3</p>



<p>XVIII</p>	<p>სატვირთო ოპერაციების ჰორიზონტალურ ხერხებზე გემ-როლკერებზე. კონტეინერების გადაზიდვის თავისებურებები და მისი დამაგრება. რეისის დროს გემების ტვირთების მდგომარეობაზე კონტროლი სატვირთო ოპერაციები ღია რეიდების მიღება და მცურავი საშუალებების მიხმა ნაპირზე. სატვირთო სამუშაოები ტანკერებზე. ტანკების მომზადება ტვირთების მიღებისათვის. ჩასხმით გადასაზიდი სხვადასხვა ტვირთების მახასიათებლები. სატვირთო ტანკების გარეცხვა, ვენტილაცია და დეგაზაცია. ტვირთის მიღება, გაზომვები, რეისის განმავლობაში ტვირთის მდგომარეობაზე დაკვირვება. შემთხვევის ანალიზი</p> <p>დასკვნითი გამოცდა 4 სთ.</p>			<p>8</p>
<p>სავალდებულო ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> დ. ვარძელაშვილი. საზღვაო კვანძები. თბილისი, 1996. როლანდ რიჩკოვი. ილუსტრირებული საზღვაო ტექნიკური ტერმინოლოგია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. სასწავლო სახელმძღვანელო. ბათუმი, გამომცემლობა „ალიონი“, 2009 წელი. Учебное пособие для подготовки по специальности матрос. Санкт-Петербург 2000 г. 			
<p>დამხმარე ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> И.И. Гордеев, Вахтенный матрос, Москва – 2003. А. В. Лихачев - Управление судном. Санкт - Петербург 1997 г. Учебник для высших инженерных морских училищ. <p>http://morskoedelo.ru/ http://deckofficer.ru/titul/handbook/item/sea-work http://lardan.com.ua/programmi-obucheniya/morskoe-delo/ http://slovar.com.ua/2010/morskoe-delo.html http://seaman.ucoz.net/forum/4-67-1</p>			



პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



შეთანხმების ფურცელი

შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება

საზღვაო საქმე
კოდი: ნდ №2-P. 0326-03
სილაბუსი

დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება—ხარისხის სისტემის სამსახური

დოკუმენტის შემსრულებელი შორეული ნაოსნობის კაპიტანი ო.ხინკილაძე

შეთანხმება

№	შეთანხმებლის თანამდებობა, სახელი და გვარი	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა
1	პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი				
2	ხარისხის სისტემის მენეჯერი				
3					
4					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

(ხელმოწერა, სახელი, გვარი)

თარიღი